## «ДИНАМО» ТБИЛИСИ

О. ГАБЕЛИЯ
Т. КОСТАВА
А. ЧИВАДЗЕ
М. ХИНЧАГАШВИЛИ
Н. КАКИЛАШВИЛИ
Д. МУДЖИРИ
Г. ЧИЛАИЯ
Т. СУЛАКВЕЛИДЗЕ
Д. КИПИАНИ
В. ГУЦАЕВ
Р. ШЕНГЕЛИЯ
З. СВАНАДЗЕ
В. ДАРАСЕЛИЯ
В. ЖВАНИЯ
Г. ТАВАДЗЕ
Г. ИМНАДЗЕ

Капитан команды
А. ЧИВАДЗЕ
Ст. тренер
Н. АХАЛКАЦИ

## «ФЕЙЕНООРД»

Х. ХИЕЛЕ
Б. НИЛЬСЕН
Р. ВИИНСТЕКЕРС
С. БРАРД
Л. БАЛКЕНСТЕИН
Ш. ТРООСТ
Т. ВАН ЕНГЕЛЕН
И. ВАН ДЕИНСЕН
К. БОУЕНС
Р. НОТЕН
П. ПЕТУРССОН
Д. ЯКУБСЕН
П. ВЕРМИУЛЕН
Р. БУДИНГ
Я. ПЕТЕРС
Х. ГРОЕНЕНДАИК

Капитан команды
Р. НОТЕН
Ст. тренер
В. ИЕЖЕК

ევროპის ქვეყნების თასების
მფლობელთა თასი
ნახევარფინალური მატჩი




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის
პროპაგანდის კომისია
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს“ სტადიონი

შემდგენელი ო. გველესიანი
ტექრედაქტორი მ. ლობჟანიძე

ფასი 27 კაპ. № 104

შეკვეთა № 884 უე 11020 ტირაჟი 20 000

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ., 14.


# „დინამო“ „ფეიენოორდი“

(თბილისი, სსრკ) (როტერდამი, ჰოლანდია)

«ДИНАМО» «ФЕЙЕНООРД»
(ТБИЛИСИ, СССР) (РОТЕРДАМ, ГОЛЛАНДИЯ)

# 8. IV. 1981

დასაწყისი 19 საათზე

## „დინამო“ თბილისი

ო. გაბელია
თ. კოსტავა
ა. ჩივაძე
შ. ხინჩაგაშვილი
ნ. კაკილაშვილი
დ. მუჯირი
გ. ჭილაია
თ. სულაქველიძე
დ. ყიფიანი
ვ. გუცაევი
რ. შენგელია
ზ. სვანაძე
ვ. დარასელია
ვ. ჟვანია
გ. თავაძე
გ. იმნაძე

გუნდის კაპიტანი
ა. ჩივაძე
გუნდის მწვრთნელი
ნ. ახალკაცი

## „ფეიენოორდი“

ჰ. ჰიელე
ი. ნილსენი
ბ. ვიინსტეკერსი
ს. ბრარდი
ლ. ბალკენსტეინი
შ. ტროოსტი
ტ. ვან ენგელენი
ი. ვან დეინსენი
ქ. ბოუენსი
რ. ნოტენი
პ პეტურსონი
ი. იაკუბსენი
პ. ვერმიულენი
რ. ბუდინგი
ი. პეტერსი
ჰ. გროენენდაიკი

გუნდის კაპიტანი
რ. ნოტენი
გუნდის მწვრთნელი
ვ. იეჟეკი

КЛИСФ.

# სალამი ფეიენორდს და მის გულშემატკივრებს!

# ДОБРО ПОЖАЛОВАТЬ ФУТБОЛИСТЫ И БОЛЕЛЬЩИКИ «ФЕЙЕНООРДА» В ТБИЛИСИ!

დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონი განსაკუთრებულ მატჩს მასპინძლობს — ესაა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი თბილისის „დინამოსა" და როტერდამის „ფეიენოორდს" შორის. ასეთი რანგის მატჩი „დინამოს" სტადიონზე ჩვენი დინამოელების მონაწილეობით ჯერ არ ჩატარებულა და გვინდა გულით, მთელი გულით მივულოცოთ ეს წარმატება დღევანდელი შეხვედრის თითოეულ მონაწილეს — ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც!

ჩვენს სტადიონზე განსაკუთრებული გულითადობით მივესალმებით მსოფლიოს ერთ-ერთი სახელმოხვეჭილი კლუბის „ფეიენოორდის" ფეხბურთელებსა და მათს გულშემატკივრებს, მივესალმებით მატჩის მსაჯებსა და უეფა-ს წარმომადგენელს, თბილისის „დინამოს" სტადიონის მრავალათასიან სტუმრებს:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს დედაქალაქში, ჩვენს სტადიონზე!

— დაე, გამორჩეული იყოს დღე დღევანდელი — გამორჩენილი თავისი ლამაზი და მიმზიდველი ფეხბურთით, მაღალი კლასის ორი გუნდის რაინდული შერკინებით, ღირსეულის ვაჟკაცური გამარჯვების სიხარულით!





# WELCOME FEYENOORD AND SUPPORTERS

КЛИСФ. "ДИНАМО" В ЕВРОКУБКАХ

დღეს ევროპის სტადიონებზე დიდი ფეხბურთის დღეა:

ჩემპიონთა თასის, თასების თასისა და უეფას თასის ნახევარფინალური მატჩები უნდა გაიმართოს.

ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით თასების თასის ნახევარფინალური მატჩებისკენაა მიმართული:

„დინამო“ თბილისი — „ფეიენოორდი“ (როტერდამი),

„კარლ ცეისი“ (გდრ) — „ბენფიკა“ (პორტუგალია).

როგორ დამთავრდება ეს მატჩები?

## „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია)

ეს საკლუბო გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია ჰოლანდიაში. იგი ქვეყნის თორმეტგზის ჩემპიონია, ხუთჯერ კი თასს ფლობდა. ტიტულების მიხედვით „ფეიენოორდს“ მხოლოდ მისი მუდმივი მეტოქე ამსტერდამის „აიაქსი“ სჯობს.

„ფეიენოორდმა“ გათამაშების პირველ წრეში მოუგო ფინეთის „ილვესს“ — 4:2, 3:1, მერვედფინალში — დანიის „ჰვიდოვრეს“ — 1:0, 2:1, ასე, რომ მეოთხედფინალურ შეხვედრამდე „ფეიენოორდისთვის“ მოწინააღმდეგეებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

მეოთხედფინალში „ფეიენოორდის“ მოწინააღმდეგე იყო ბულგარეთის თასის მფლობელი, სოფიის „სლავია“. ამჟამად „სლავია“ ბულგარეთის ჩემპიონატში არცთუ სახარბიელოდ გამოდის. მატჩი, რომელიც სოფიის ვასილ ლევსკის სტადიონზე გაიმართა, განუწყვეტელი წვიმის ქვეშ ჩატარდა და „ნაროდენ სპორტის“ მიმომხილველებიც სწორედ ცუდი ამინდით ხსნიან მატჩის ანგარიშს — 3:2 მასპინძლების სასარგებლოდ. ამ დღეს „სლავიას“ არ ჰყავდა ბულგარეთის ნომერ პირველი ფეხბურთელი ჟელიაზკოვი, სამაგიეროდ დიდად გამოიჩინა თავი ნაკრების გარემარბმა ცვეტკოვმა, რომელმაც ორი ბურთი გაიტანა. მატჩის შემდეგ ჰოლანდიელებმა განაცხადეს, რომ ეს ანგარიში მათ სავსებით აძლევდა ხელს. როგორც „ფეიენოორდის“ ნახევარმცველმა ნოტენმა თქვა, ორივე საპასუხო ბურთი მათ იოლად გაიტანეს და ახლა საპასუხო შეხვედრაში 1:0-ც კი ნახევარფინალისაკენ გაუხსნიდა გზას.

„ფეიენოორდმა“ შინ გაცილებით ძლიერად ითამაშა, 4:0 მოუგო განმეორებით შეხვედრა „სლავიას“ და ნახევარფინალში გავიდა.

## „ბენფიკა“ (პორტუგალია)

ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ერთ-ერთი ძლიერი და სახელოვანი წარმომადგენელია პორტუგალიის „ბენფიკა“. იგი მეთექვსმეტედფინალში პირველ გასვლით მატჩში იუგოსლავიის თასის მფლობელს — ბელგრადის „დინამოს“ შეხვდა. მატჩი ბელგრადში ფრედ — 0:0 დამთავრდა. განმეორებით შეხვედრაში კი პორტუგალიელებმა ადვილად დაამარცხეს სტუმრები — 2:0. შემდგომ ეტაპზე პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა პირველი გასვლითი მატჩი წააგეს „მალმესთან“ — 1:0, შინ კი ისევ დამაჯერებლად ითამაშეს და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 3:0.

თასის გათამაშების ცენტრალურ შეხვედრად ითვლებოდა მეოთხედფინალური მატჩი დიუსელდორფში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ფორტუნასა“ და „ბენფიკას“ შორის. ამას თავისი ახსნა აქვს: თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი სწორედ დიუსელდორფის სტადიონზე უნდა გაიმართოს და თუ „ფორტუნა“ ფინალში გავიდოდა, ცხადია, ერთგვარი უპირატესობაც ექნებოდა. მაგრამ „ბენფიკასთან“ შეხვედრისას გუნდმა მაყურებელს იმედი გაუცრუა. როგორც მიმომხილველები მიიჩნევენ, თამაშის კულტურის თვალსაზრისით „ბენფიკამ“ უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და არც ძალისმიერი შეხლა-შემოხლის დროს დაუთმო რაიმე მეტოქეს. მიმომხილველები აღნიშნავდნენ „ბენფიკას“ თავდამსხმელების კარლოს მანუელისა და შალანას ფრიად მწვავე თამაშს. მატჩი, რომელიც ფრედ დამთავრდა 2:2, ხელს აძლევდა „ბენფიკას“ და, მართლაც, განმეორებით შეხვედრაში, რომელიც ლისაბონში გაიმართა, პორტუგალიელებმა დაამარცხეს მეტოქე — 1:0 და ნახევარფინალში გავიდნენ.

## „კარლ ცეისი“ (გდრ)

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თასების გათამაშებაში მონაწილე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერეს გუნდს „კარლ ცეისს“, 1/16 ფინალიდან მოყოლებული, სუსტი მეტოქე არ შეხვედრია. ჯერ იყო, და გათამაშების პირველ ეტაპზე დაამარცხა იტალიის „რომა“, ხოლო შემდეგ მერვედფინალში მოუგო თასის შარშანდელ მფლობელს ესპანეთის „ვალენსიას“. ამ შთამბეჭდავი გამარჯვებების შემდეგ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იგი მეოთხედფინალში ადვილად გავიდოდა. წილისყრამ ხომ „კარლ ცეისის“ მეტოქედ ინგლისის მესამე ლიგის ბინადარი, და შეიძლება ითქვას, საკმაოდ სუსტი გუნდი „ნიუპორტი“ (უელსი) დაასახელა. მაგრამ მოხდა მოულოდნელობა: პირველ მატჩში გერმანელებმა საკუთარ სტადიონზე ფრედ — 2:2 ითამაშეს და საეჭვო გახადეს თავიანთი გასვლა ნახევარფინალში.

ვერც იმას ვიტყვით, რომ „კარლ ცეისი“ აგდებულად მოექცა მეტოქეს. როცა მატჩის წინ კორესპონდენტმა ჰკითხა გერმანელთა ცენტრალურ მცველს შნუპჰაზეს, როგორ ეგუება გუნდი ფავორიტის როლს მომავალ შეხვედრაში, ფეხბურთელმა უპასუხა: „პროფესიონალთა ამ გუნდს შეუძლია ხიფათს გადაგვყაროს“. მართალია, „ნიუპორტს“ ე. წ. მესამე ლიგების გუნდს ვერ შეადარებთ, უელსელები დიდი შეუპოვრობით თამაშობდნენ. ამ დღეს „კარლ ცეისს“ არ ჰყავდა თავისი უძლიერესი მცველი და კაპიტანი ვაიზე, რომელიც წინა შეხვედრაში დაშავდა.

განმეორებით შეხვედრაში გერმანელებმა დაამტკიცეს, რომ მათ უნარი შესწევთ იბრძოლონ ბოლომდე. მათ დაამარცხეს „ნიუპორტი“ — 1:0 და ნახევარფინალშიც გავიდნენ.

# «ДИНАМО» ТБИЛИСИ В ЕВРОПЕЙСКИХ ТУРНИРАХ







### КУБОК УЕФА

«ДИНАМО» — «ТВЕНТЕ» (Голландия) — 3:2
«ТВЕНТЕ» — «ДИНАМО» — 2:0
«ДИНАМО» — «СЛАВИЯ» (София, Болгария) — 4:1
«СЛАВИЯ» — «ДИНАМО» — 2:0
«ДИНАМО» — ОФК (Белград, Югославия) — 3:0
ОФК — «ДИНАМО» — 1:5
«ДИНАМО» — «ТОТТЕНХЭМ ХОТСПУР» (Лондон, Англия) — 1:1
«ТОТТЕНХЭМ ХОТСПУР» — «ДИНАМО» — 5:1
«ИНТЕРНАЦИОНАЛЕ» (Милан, Италия) — «ДИНАМО» — 0:1
«ДИНАМО» — «ИНТЕРНАЦИОНАЛЕ» — 0:0
«КБ КОПЕНГАГЕН» (Копенгаген, Дания) — «ДИНАМО» — 1:4
«ДИНАМО» — «КБ КОПЕНГАГЕН» — 2:1
«ДИНАМО» — «ГРАССХОППЕРС» (Цюрих, Швейцария) — 1:0
«ГРАССХОППЕРС» — «ДИНАМО» — 4:0
«ДИНАМО» — «НАПОЛИ» (Неаполь, Италия) — 2:0
«НЕАПОЛЬ» — «ДИНАМО» — 1:1
«ГЕРТА» (Западный Берлин) — «ДИНАМО» — 2:0
«ДИНАМО» — «ГЕРТА» — 1:0



### КУБОК ЧЕМПИОНОВ

«ЛИВЕРПУЛЬ» (Ливерпуль, Англия) — «ДИНАМО» — 2:1
«ДИНАМО» — «ЛИВЕРПУЛЬ» — 3:0
«ГАМБУРГЕР ШФ» (Гамбург, ФРГ) — «Динамо» — 3:1
«ДИНАМО» — «ГАМБУРГЕР ШФ» — 2:3

### КУБОК КУБКОВ

«КАРДИФ СИТИ» (Кардиф, Уэльс) — «ДИНАМО» — 1:0
«ДИНАМО» — «КАРДИФ СИТИ» — 3:0
«ДИНАМО» — МТК (Будапешт, Венгрия) — 1:4
МТК — «ДИНАМО» — 1:0

1980—1981 гг.

«КАСТОРИЯ» (Греция) — «ДИНАМО» — 0:0
«ДИНАМО» — «КАСТОРИЯ» — 2:0
«УОТЕРФОРД» (Ирландия) — «ДИНАМО» — 0:1
«ДИНАМО» — «УОТЕРФОРД» — 2:0
«ВЕСТ ХЭМ» (Лондон, Англия) — «ДИНАМО» — 1:4
«ДИНАМО» — «ВЕСТ ХЭМ» — 0:1
«ДИНАМО» — «ФЕЙЕНООРД» (Ротердам, Голландия)
«ФЕЙЕНООРД» (Ротердам, Голландия) — «ДИНАМО» —

# მსოფლიოს მეორე გუნდი

ჰოლანდიაში ფეხბურთის თამაში დაიწყეს მე-19-ე საუკუნის დასასრულს. ჰოლანდიის ფეხბურთის ეროვნული ასოციაცია შეიქმნა 1889 წელს, ხოლო ამ ქვეყანა ფიფას წევრი გახდა 1904 წელს. ნიდერლანდების ნაკრები შეიქმნა 1905 წელს.

ამ ქვეყნის ფეხბურთის აღორძინება მოხდა მე-20-ე საუკუნის სამოცდაათიან წლებში. პირველი მნიშვნელოვანი წარმატება მსოფლიო ფეხბურთის ავანსცენაზე სწორედ როტერდამის „ფეიენოორდის" გამარჯვება იყო ევროპის ჩემპიონთა და საკონტინენტათაშორისო თასებზე 1970 წელს. ამას მოჰყვა ამსტერდამის „აიაქსის" ტრიუმფი 1971-1974 წლებში ასევე ჩემპიონთა თასზე. ეს ის პერიოდია, როდესაც „ტიტების ქვეყანაში" გამოჩნდნენ ტყავის ბურთის ისეთი ოსტატები როგორებიც იყვნენ კრუიფი, კეიზერი, რენსენბრინკი, რეპი, ვან ჰანეგემი, მიურენი, ჰაანი, ნეესკენსი, იზრაელი და სხვები. 1974 წელს მიუნხენის (გფრ) მსოფლიოს პირველობაზე ჰოლანდიის ნაკრებმა მხოლოდ ფინალში წააგო ჩემპიონატის მასპინძლებთან — დასავლეთ გერმანელ ფეხბურთელებთან ანგარიშით 1:2. ამის შემდეგ ჰოლანდიელები კიდევ ერთხელ გავიდნენ მსოფლიო პირველობის ფინალში 1978 წელს, მაგრამ ჩემპიონის საპატიო ტიტული კვლავ მასპინძლებს, ამჯერად არგენტინელ ფეხბურთელებს დაუთმეს. ჰოლანდიის ნაკრების წარმატებებში არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე 1976 წლის ევროპის პირველობაზე მოპოვებული III ადგილი.

სპეციალისტები ფიქრობენ რომ არგენტინის მსოფლიო პირველობა „გედის სიმღერად" დარჩება ჰოლანდიის ნაკრების ისტორიაში და მართლაც სხვადასხვა მიზეზების გამო უნდა გამოეთხოვა წამყვან ფეხბურთელთა დიდ პლეადა, რომელთა შემცვლელები ჯერ არ ჩანან. მაგრამ უნდა გვახსოვდეს: კრუიფისა და ნეესკენსის სამშობლომ ბევრი ახალი შემოიტანა მსოფლიო ფეხბურთში, და რომ ეს სიახლენი უკვალოდ არ ჩაივლიან. ჰოლანდიელთა მიერ შემოღებულმა ტოტალურმა ფეხბურთმა მსოფლიო დაიპყრო და თვით არგენტინის ნაკრებიც ამ სტილს მიმართავდა. მხოლოდ სამხრეთამერიკული ინტერპრეტაციით...

ამჟამად ჰოლანდიაში წამყვანი კლუბები („აიაქსი", „ეინდჰოვენი", „სპარტა") ერთგვარ კრიზისს განიცდიან, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად პატარა ქალაქ ალკმაარში 1967 წელს დაარსებულმა კლუბმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. „აზ-67" — ახლა ლიდერობს ქვეყნის პირველობას ფენომენალური შედეგით 23 შეხვედრაში მოგებული აქვს 22 და მხოლოდ ერთხელ ითამაშა ფრედ. ამ კლუბში უმთავრესად ის ფეხბურთელები თამაშობენ რომლებსაც იმედის თვალით შეჰყურებენ ჰოლანდიის ფეხბურთის ქომაგები. ესენია: კისტი, მეტგოდი, ტოლი და სხვები. ისევე როგორც „ფეიენოორდი", „აზ-67"-იც ევროპული საკლუბო ტურნირების ნახევარფინალში გავიდა (უეფა-ს თასზე).




## ნიდერლანდები





სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე. ტერიტორია — 36,6 ათასი კვ. კილომეტრი, რომლის ორმოც პროცენტზე მეტიც ზღვის დონეზე დაბლა იმყოფება და მრავალრიცხოვანი დამბის, სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მეშვეობით არის დაცული ზღვის შემოტევისაგან. მოსახლეობა — დაახლოებით 14 მილიონი კაცი, ძირითადად — ჰოლანდიელები. დედაქალაქია ამსტერდამი (800 ათასი მცხოვრები); უდიდესი ქალაქები — ჰააგა, როტერდამი, ტილბურგი, გრონინგენი და სხვა. ქვეყნის პარლამენტისა და მთავრობის რეზიდენცია ქ. ჰააგაშია. სახელმწიფო ენა — ჰოლანდიური.

ნიდერლანდები — კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე (1948 წლიდან დედოფალი იულიანა). კანონმდებლური ხელისუფლება ეკუთვნის მეფესა და გენერალურ შტატებს (პარლამენტს), რომელშიც ორი პალატაა (პირველი და მეორე). აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა კაბინეტი (მთავრობა).

ნიდერლანდებში 61 პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული, თერთმეტს მათგან თავისი წარმომადგენლები ჰყავს პარლამენტში. მშრომელთა დემოკრატიული და სოციალური უფლებებისათვის, მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლის ავანგარდშია ნიდერლანდების კომუნისტური პარტია, რომელიც 1919 წელს შეიქმნა. ნიდერლანდები მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მას მსოფლიოში მე-8 ადგილი უჭირავს სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით.

# ვ. იეჟეკის აზრით

## „დინამოს" შესახებ

— დინამოელებმა დაამტკიცეს მაღალი კლასის ევროპული კლუბის თავიანთი რეპუტაცია, ისინი ტექნიკურები არიან, ძალზე მკვირცხლად თამაშობენ და იმპროვიზაციის უნარიც შესწევთ.

— როგორ შეხვდით ციურიხში უკანასკნელი წილისყრის შედეგებს?

— რა თქმა უნდა, დიდად ვერ გაგვახარა იმან, რომ ნახევარფინალში ჩვენი მეტოქენი თბილისის დინამოელები აღმოჩნდნენ... თუმცა, ესეც კია, ტურნირის ამ სტადიაზე სუსტი გუნდები აღარ არიან.

— როგორია თქვენი პროგნოზი „დინამოსა" და „ფეიენოორდის" შეხვედრის თაობაზე?

— გუნდების შანსები დაახლოებით თანაბარია...




სურათზე — „ფეიენოორდის" ფეხბურთელთა გუნდი(სხედან): (მარცხნიდან მარჯვნივ) კარელ ბოუენსი, რიჩარდ ბუდინგი, მარსელ ბლომი, იან პეტერსი, პეტურ პეტურსონი, კარლო დე ლეუ, პანს გროენენდაიკი, პიერ ვერმეულენი; მეორე რიგში: მწვრთნელი ვაცლავ იეჟეკი, როგერ ალგერტსენი, ანდრე სტაფლეო, ვიმ ვან ტილი. რენე ნოტენი. პაულ ბლომი, იან ვან დეინსენი, ვიმ ვან ზინენი, მწვრთნელის თანაშემწე კლემენს ვესტერჰოფი, მასაჟისტი ექიმი გერარდ მეიერი, მესამე რიგში: ბენ ვიინსტეკერსი, ლუუკ ბალკესტეინი, ივან ნილსენი, იოოპ პიელე, ტომ ვან ენგელენი, შააკ ტროოსტი, სტენლი ბრარდი.

# „ფეიენოორდი" — ძველი ნაცნობი

„სპორტკლუბ ფეიენოორდი" 1908 წელს დაარსდა და ქ. როტერდამის ერთ-ერთი გარეუბნის სახელს ატარებს. გუნდი თამაშობს საკუთარ 64-ათასიან სტადიონზე. „ფეიენოორდის" ფორმაა თეთრ-წითელი მაისურები და შავი ტრუსები. კლუბი თავისი ქვეყნის 11-გზის ჩემპიონია (1924, 1928, 1936, 1938, 1940, 1961, 1962, 1965, 1969, 1971, 1974 წწ) და 5-გზის თასის მფლობელი (1930, 1935, 1965, 1969, 1980 წწ) ტიტულების მიხედვით თავის ქვეყანაში როტერდამელ ფეხბურთელებს სჯობია მხოლოდ მათი მუდმივი მეტოქე — ამსტერდამის „აიაქსი".

საერთაშორისო სარბიელზე კლუბმა თავი გამოიჩინა 1961 წელს, როცა მონაწილეობა მიიღო რაპანის თასის გათამაშებაში (ამ ტურნირს ახლა „ინტერნაციონალური თასი" ჰქვია). „ფეიენოორდმა" ფინალში დამარცხება განიცადა თავის „შინაური" კონკურენტის „აიაქსისაგან" — 2:4.

ევროპულ საკლუბო ტურნირებში „ფეიენოორდის" დებიუტი შედგა 1961-62 წლების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

1969-70 წლებში „ფეიენოორდი" ისევ ჩემპიონთა თასზე გამოდის, ამარცხებს ისლანდიის „რეიკიავიკს" — 12:2, 4:0 იტალიის „მილანს" — 2:0, 0:1, გდრ-ის „ფორვერტსს" — 2:0, 0:1, პოლონეთის „ლეგიას" — 2:0, 0:0 და გადის ფინალში, სადაც მილანის „სან-სიროს" სტადიონზე 80 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ამარცხებს სახელგანთქმულ შოტლანდიის „სელტიკს" 2:1. სხვათა შორის, ეს მატჩი გადმოსცა საბჭოთა ტელევიზიამაც. იმავე წელს „ფეიენოორდმა" მოიპოვა უმაღლესი საკლუბო პრიზი — საკონტინენტთაშორისო თასი, რაც არგენტინის „ესტუდიანტესის" დამარცხების შედეგად შეძლო — 2:2, 1:0.

ეს იყო „ფეიენოორდის" მეორე გაელვება ევროპული საკლუბო ფეხბურთის ავანსცენაზე. გუნდის შემადგენლობაში მოხდა თაობათა ცვლა: წავიდნენ პაზილი, კინდვალი, გეელსი, მათ ნაცვლად მოვიდნენ რიისბერგენი, რესელი, დე იონგი, ვერილე, კრაიცი და სხვები. იმავე წელს მიუნხენში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრებმა მოიპოვა მეორე ადგილი. ნაკრების ღირსებას იცავდა „ფეიენოორდის" 4 ფეხბურთელი.

1974 წელს „ფეიენოორდმა" უკანასკნელად მოიპოვა თავისი ქვეყნის ჩემპიონობა. ამის შემდეგ გუნდი ევროპულ ტურნირებშიც და ჰოლანდიის პირველობაზეც წარუმატებლად გამოდის.

თასების თასის ახლანდელი გათამაშების პირველ წრეში „ფეიენოორდმა" მოუგო ფინეთის „ილვესს" — 4:2, 3:1, მერვედფინალში — დანიის „ჰვიდოვრეს" — 1:0, 2:1, ხოლო მეოთხედფინალში — ბულგარეთის „სლავიას" — 2:3, 3:0. სულ ევროპულ საკლუბო ტურნირებში „ფეიენოორდმა" გამართა 77 შეხვედრა, აქედან მოიგო 44 ფრედ დაამთავრა 15 და წააგო 18, ბურთების შეფარდება 181:84.

# ნაცნობი

რას წარმოადგენს დღევანდელი „ფეიენოორდი"? 1980-81 წლების სეზონი მისთვის არასახარბიელოდ დაიწყო, ვინაიდან გუნდს გამოეთიშა ორი წამყვანი ფეხბურთელი: კლუბის ვეტერანი ვიმ იანსენი (იგი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში თამაშობს) და ეროვნული გუნდის მცველი ვან დერ კორპუტი, რომელიც იტალიის „ტორინოში" გადავიდა. სანაცვლოდ კლუბმა შეიძინა დანიელი ფეხბურთელი იაკუბსენი, კლუბის გენერალური მენეჯერია პიტ სტეფანი, მწვრთნელი — ცნობილი ჩეხი სპეციალისტი ვაცლავ იეჟეკი, რომლის მეთაურობით ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა 1976 წელს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

„ფეიენოორდის" მეკარეა ჰიელე, დაცვაში თამაშობენ დანიელი ნილსენი, ბრაარდი, ბალკენსტეინი, ტროოსტი და ჰოლანდიის ნაკრების წევრი ვაინსტეკერსი, ნახევარდაცვაში — იაკუბსენი, ვან დეინსენი, ვან ტილი და ნოტენი, თავდასხმა გამოიყურება შემდეგნაირად: ისლანდიელი პეტურსონი, ვერმეულენი, ბოუენსი, გროენენდაიკი და პეტერსი. აქ ჩამოთვლილი 15 ფეხბურთელიდან მხოლოდ ჰიელე, ნილსენი, ვაინსტეკერსი, ბრაარდი, ტროოსტი, ვერმეულენი და ნოტენი თამაშობენ ყველა მატჩში. დანარჩენები კი ე. იეჟეკის ტაქტიკური ვარიანტების შესაბამისად გამოდიან მინდორზე. კლუბი თამაშობს ჰოლანდიელებისთვის დამახასიათებელ ტოტალურ ფეხბურთს. [illegible] შემთხვევაში სქემით 4-4-2. ჰოლანდიის პირველობაზე „ფეიენოორდი" 21 ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა 33 ქულით. ის 9 ქულით უსწრებს „აზ-67" ალკმაარიდან. ჩემპიონატის განვლილ მატჩში კლუბმა წააგო „ეინდჰოვენთან" — 0:1.








ფეიენოორდი — თბილისში

**ВИЗИТНАЯ КАРТОЧКА КЛУБА**

# „ФЕЙЕНООРД“

**Основан в 1908 году. 11-кратный чемпион Голландии (1924, 1928, 1936, 1938, 1940, 1961, 1962, 1965, 1969, 1971, 1974 гг.). Пять раз владел кубком страны (1930, 1935, 1965, 1969, 1980 гг.). Обладатель Кубка европейских чемпионов (1970 г.), Кубка УЕФА (1974 г.), Межконтинентального кубка (1970 г.), европейского Суперкубка (1970 г.).**

Все крупные успехи «Фейеноорда» на международной арене, о которых говорилось вначале, приходятся на начало 70-х годов. Именно тогда в этом клубе выступали такие известные футболисты, как Израэл, Янсен, Ван Ханегем, Рийсберген, принесшие славу голландскому футболу как в играх за клуб, так и за сборную.

Затем на какой-то период «Фейеноорд» ушел в тень. После того, как команда в 1978 году заняла в первенстве страны всего лишь десятое место и из-за низкой посещаемости матчей с ее участием у клуба образовался большой долг, на место тренера был приглашен известный чехословацкий специалист Вацлав Ежек, под чьим руководством сборная Чехословакии выиграла в 1976 году звание чемпиона Европы. И дела «Фейеноорда» сразу пошли на поправку.

Уже в следующем сезоне роттердамский клуб занимает 2-е место в чемпионате, затем выигрывает Кубок Голландии, а сейчас вновь уверенно идет на втором месте в первенстве. В связи с этими успехами резко увеличился и приток зрителей на матчи «Фейеноорда», благодаря чему он сумел погасить все свои долги.

В первой команде «Фейеноорда» 16 профессиональных игроков. В клубе есть и команда до 21 года (в ней 6 профессионалов, остальные — полупрофессионалы).

Из нынешнего состава «Фейеноорда» в сборной Голландии постоянно выступает лишь капитан клуба защитник Вийнстекерс, но есть игроки, которые сыграли за национальную команду в разное время несколько встреч, — это вратарь Хиле, полузащитники Ван Дейсен и Неттен, нападающий Вермюлен, защитник Балкестайн... Помимо этого, в «Фейеноорде» играют футболисты других сборных — Дании (защитник Нильсен) и Исландии (нападающий Петурссон).

Как и все представители голландского футбола, «Фейеноорд» — команда атлетичная, мощная. Умело разыгрывает стандартные положения. В частности, два мяча софийской «Славии» роттердамцы забили после розыгрыша штрафного удара. Свои атаки команда проводит на максимальной скорости, причем игроки движутся, как правило, к воротам кратчайшим путем. Мяч посылается партнеру, набравшему к этому моменту скорость, не в ноги, а на ход — метра на 3—4 перед ним.

Тренер софийской «Славии» А. Илиев, когда его спросили о шансах полуфиналистов, сказал, что тбилисское «Динамо» может уже на своем поле решить исход борьбы с «Фейеноордом» в свою пользу...

# DINAMO'S RECORD IN EUROPE

Here we give the complete list of games and results Dinamo have played in the various European tournaments:

**Season 1972-'73 - U.E.F.A. Cup**

Sept. 13, 1972 - Dinamo Tbilisi 3, Twente Enschede 2.
Sept. 27, 1972 - Twente Enschede 2, Dinamo Tbilisi 0

**Season 1973-'74 - U.E.F.A. Cup**



Sept. 19, 1973 - Dianmo Tbilisi 4, Slavia Sofia 1
Oct. 3, 1973 - Slavia Sofia 2, Dinamo Tbilisi 0
Oct. 24, 1973 - Dinamo Tbilisi 3, O.F.K. Belgrade 0
Nov. 7, 1973 - O.F.K. Belgrade 1, Dinamo Tbilisi 5
Nov. 28, 1973 - Dinamo Tbilisi 1, Tottenham Hotspur 1
Dec. 12, 1973 - Tottenham Hotspur 5, Dinamo Tbilisi 1

**Season 1976-'77 - Cup-winners' Cup**

Sept. 15, 1976 - Cardiff City 1, Dinamo Tbilisi 0
Sept. 29, 1976 - Dinamo Tbilisi 3, Cardiff City 0
Oct. 20, 1976 - Dinamo Tbilisi 1, M.T.K. Budapest 4
Nov. 3, 1976 - M.T.K. Budapest 1, Dinamo Tbilisi 0



**Seaon 1977-'78 - U.E.F.A. Cup**

Sept. 14, 1977 - Inter-Milan 0, Dinamo Tbilisi 1
Sept. 28, 1977 - Dinamo Tbilisi 0, Inter-Milan 0
Oct. 19, 1977 - K.B. Copenhagen 1, Dinamo Tbilisi 4
Nov. 2, 1977 - Dinamo Tbilisi 2, K.B. Copenhagen 1
Nov. 23, 1977 - Dinamo Tbilisi 1, Zurich Grasshoppers 0
Dec. 7, 1977 - Zurich Grasshoppers 4, Dinamo Tbilisi 0

**Season 1978-'79 - U.E.F.A. Cup**

Sept.13, 1978 - Dinamo Tbilisi 2, S.S.C. Napoli 0
Sept. 27, 1978 - S.S.C. Napoli 1, Dinamo Tbilisi 1
Oct. 18, 1978 - Hertha Berlin 2, Dinamo Tbilisi 0
Nov. 1, 1978 - Dinamo Tbilisi 1, Hertha Berlin 0



**Season 1979-'80 - Champions' Cup**

Sept. 19, 1979 - Liverpool 2, Dinamo Tbilisi 1
Oct. 3, 1979 - Dinamo Tbilisi 3, Liverpool 0
Oct. 24, 1979 - Hamburg 3, Dinamo Tbilisi 1
Nov. 7, 1979 - Dinamo Tbilisi 2 Hamburg 3

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია | 3 | 3 | 0 | 0 | 8—0 | 6 |
| 2. ბულგარეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5—4 | 4 |
| 3. გფრ | 1 | 1 | 0 | 0 | 3—1 | 2 |
| 4. ალბანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3—8 | 2 |
| 5. ფინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0—6 | 0 |

ავსტრია — ფინეთი 2:0; ავსტრია — ალბანეთი 5:0; ალბანეთი — ავსტრია 0:1 ალბანეთი ფინეთი 2:0; ბულგარეთი — გფრ 1:3; ბულგარეთი — ალბანეთი 2:1; ბულგარეთი — ფინეთი 2:0;

## II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 5 | 4 | 1 | 0 | 8—3 | 9 |
| 2 ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 12—7 | 7 |
| 3. საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9—1 | 4 |
| 4. ჰოლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 5—3 | 4 |
| 5. კვიპროსი | 6 | 0 | 0 | 6 | 4—24 | 0 |

ირლანდია — ბელგია 1:0; ბელგია — ჰოლანდია 1:0; კვიპროსი — ბელგია 0:2; კვიპროსი — ირლანდია 2:3; ირლანდია — ჰოლანდია 2:1; საფრანგეთი — ირლანდია 2:0; ირლანდია — კვიპროსი 6:0; საფრანგეთი — კვიპროსი 7:0; ჰოლანდია — ირლანდია 1:2; ბელგია — კვიპროსი 1:2; ჰოლანდია — კვიპროსი 3:0; ჰოლანდია — საფრანგეთი 1:0; ბელგია — ირლანდია 1:0.

## III ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10—0 | 8 |
| 2. სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 0 | 7—1 | 4 |
| 3. ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 0 | 1 | 2—1 | 2 |
| 4. ისლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 4—12 | 2 |
| 5. თურქეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1—10 | 0 |

უელსი — ისლანდია 4:0; უელსი — თურქეთი 4:0; უელსი — ჩეხოსლოვაკია 1:0; ჩეხოსლოვაკია — თურქეთი 2:0; ისლანდია — თურქეთი 3:1; ისლანდია — სსრ კავშირი 1:2; სსრ კავშირი — ისლანდია 5:0.

## IV ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 7—3 | 4 |
| 2. რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3—2 | 3 |
| 3. ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 3—6 | 3 |
| 4. შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 2 | 2—4 | 0 |
| 5. უნგრეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0—0 | 0 |

ინგლისი — ნორვეგია 4:0; რუმინეთი — ინგლისი 2:1; ინგლისი — შვეიცარია 2:1; ნორვეგია — რუმინეთი 1:1; ნორვეგია — შვეიცარია 2:1.

## V ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 4 | 4 | 0 | 0 | 8—0 | 8 |
| 2. საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 5—2 | 6 |
| 3. იუგოსლავია | 3 | 2 | 0 | 1 | 7—3 | 4 |
| 4. დანია | 4 | 1 | 0 | 3 | 5—5 | 2 |
| 5. ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 0—15 | 0 |

ლუქსემბურგი — იტალია 0:2; დანია — იტალია 0:2; იტალია — იუგოსლავია 2:0; საბერძნეთი — იტალია 0:2; საბერძნეთი — დანია 1:0; იუგოსლავია — ლუქსემბურგი 5:0; იუგოსლავია — დანია — 2:1; დანია — ლუქსემბურგი 4:0; საბერძნეთი — ლუქსემბურგი 2:0; ლუქსემბურგი — საბერძნეთი 0:2.

## VI ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 4 | 2 | 2 | 0 | 3—1 | 6 |
| 2. პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 4—0 | 5 |
| 3. ჩრდ. ირლანდია | 4 | 1 | 2 | 1 | 4—2 | 4 |
| 4. ისრაელი | 5 | 0 | 3 | 2 | 1—5 | 3 |
| 5. შვეცია | 4 | 0 | 2 | 2 | 1—5 | 2 |

შოტლანდია — შვეიცარია 1:0; შოტლანდია — პორტუგალია 0:0; ჩრდ. ირლანდია — პორტუგალია 0:1; პორტუგალია — ისრაელი 3:0; ჩრდილ. ირლანდია — ისრაელი 0:0; ჩრდ. ირლანდია — შვეცია 3:0; ისრაელი — შვეცია 1:1; ისრაელი — შოტლანდია 0:1; შოტლანდია — ჩრდილოეთ ირლანდია 1:1.

# სალაღობოდ...

## თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს

### ოთარ გაბელიას

ირაკლისებურად

მე — მეკარე გაბელია
კვლავ „დინამოს" კართან ვდგევარ.
ხომ გაუძელ, ხომ დაუძლევერ
ინგლისელთა შემოტევას!?..
პენალტიც ხომ ამიღია,
(გეხსომებათ, ალბათ, დიდხანს!)
ახლაც ზოგ ბურთს მე დავიჭერ,
ზოგსაც... მცველი გამოიტანს.

### თამაზ კოსტავას

მრისხანე თავდამსხმელები
ლამის მცველებად აქცია!
ჩვენც ველარ გაგვირჩევია:
კოსტავაა, თუ... კალცია?!
ის რომ გვყოლოდა, „ჰამბურგსაც"
შეერყეოდა აქცია!

### ალექსანდრე ჩივაძეს

ჯანსულისებურად

უნდა შენიც დაიცვა და
სხვის კარადაც გაიკარო...
შუბლით უნდა გაიტანო!
თავით უნდა გაიტანო!
მკერდით უნდა გაიტანო!
შიში აღარ გაიკარო,
ტრავმაც უნდა აიტანო,
ხინჯი აღარ გაიკარო,
ვაჟკაცურად აიტანო —
კაპიტანო!

### თენგიზ სულაქველიძეს

ღუხსარმიანო,
სუსტთა და
ტანო ტატანოთ გამტანო!
„დინამოს" საჯარიმოსთან
მსაჯიც არ გააჭაჭანო!...

### შოთა ხინჩაგაშვილს

რაც შენით გუნდი დამშვენდა —
გლდანის მასივიც გამშენდა!
ცოტა ტრავმები დაგჩემდა...
მაინც შენ ფარობ ფარადა!
მტერს და მოყვარეს არჩევ და
სხვებსაც სიძველეს აჩვევ და...
ეს არი შენი დიდგორი,
ეს არი შენი მარაბდა!..

### ზაურ სვანაძეს

არა, ძმობილო,
ახლა ფეხბურთი
ადრე რომ იყო
მასე როდია...
როცა ზოგ-ზოგი
მობურთალენი
მსაჯის საათსა დასჩეროდიან, —
შენ გჯეროდიან,
თავად ანგლონიც
გაპკვიროდიან!..

### ვიტალი დარასელიას



გოლის გატანა რომ იცი
კი ვიცი, ჩემო ვიტალი,
მაგრამ რას იზამ,
თუ მწვრთნელმა
არ გამოწერა „ქვითარი?"
ასეა, ძმაო,
ზოგი „9"-ით
და ზოგი კიდევ — „8"-ით არი...

### ვლადიმერ გუცაევს



ზოგი ტექნიკურად გაქცევს,
ზოგი, მართლა, ნამეტანობს...
მოდი, ახლა სხვას უსარმონ,
შენ პენალტი გაგეტანოს!

### დავით ყიფიანს



„დინამოს" დირიჟორი ხარ,
გვიღირხარ ათას პ-ლ-ა-ტ-ი-ნ-ა-დ.
(თუმცა მუმიონ მალამო,
არ იშოვება ადვილად) —
თვით ტუტანხამონს მოგართმევთ,
თუ ვინმემ მუხლი გატკინა!..

### რამაზ შენგელიას



სიზმრად ვნახე: ვერცხლის თასი
ხელთ გეჭირა, როგორც ხვითო, —
დავცალე და...
ჩაიხედე: —
იქაც დათოს პასი იდო!..







მსაჯები: ერიკ ფრედერიკსონი, ინგიმარ დიოგამსენი, კელ დიოგამსენი, (შვეცია)

СУДЬИ: Эрик Фредериксон, Ингимар Диогамссон, Кьель Диогамссон (Швеция).

ВПИСФ "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"